საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

## ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და ვლეხთა მთავრობისა.


| | | |
|---|---|---|
| 1927 წლის<br>თებერვლის 1 | № 2.<br>განყოფილება პირველი | ა/კ. ცენტ. აღმას. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემ. |


### შინაარსი:


მუხ. 12. ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სპეციალური ფონდის შესახებ ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში სოფლის მოსახლეობისათვის ტრაქტორების გამოყენების საქმეში ტეხნიკური დახმარების გასაწევად.

„ 13. ჩაის სუროგატების შესახებ.

„ 14. მუშების სამუშაოზე მიღების დროს წინასწარი სამედიცინო გასინჯვის შესახებ.

„ 15. ა/კსფსრ სასაჭონლო-საფონდო ბირჟებზე მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.

„ 16. ცირკულიარი ა/კ. ცენტრ. აღმ. კ-ტისა—საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მორიგ არჩევნების მომზადებისა და განხორციელების შესახებ.

„ 17. ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის პატენტებზე განსაკუთრებული გამოსაღების და წესების თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ 18. დებულება—ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფ. საწარმოთა ფინანსიურად მოგვარებისათვის სამრეწველო ფონდის დაწესებისა, დახარჯვისა და შენახვის წესის შესახებ.

„ 19. ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებით ნავარაუდევ სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებაზე გადადმეტებით მიღებული ნამდვილი შემოსავლის სათანადო რესპუბლიკის სარეზერვო ფონდში და საბიუჯეტო დეფიციტების დასაფარავად მიქცევის წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-7 მუხ. შეცვლის შესახებ.

„ 20. ამხ. ა. იაშვილის ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრად დამტკიცების შესახებ.

„ 21. განჯა—განჯა-ქალაქის ვიწრო-ლიანდაგიან შტოზე საკალაქშიდამო მიმოსვლის თვიური ბილეთების შემოღების შესახებ.

„ 22. სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის ნებისიდ-დაქირავებულ მუშათა და მომამსაზურეთა მუშაობისაგან განთავისუფლების შესახებ დროებითი შრომის უნარდაკარგულობის გამო.

„ 23. ძონდეულისა, ნაცვეთგულისა, ანაქერქისა, სელისა და მატყლის ქულების დამზენეხელთა სპეც-ტანისამოსის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ 24. ფრინველების კვებისა, დაკვლისა და გაპტყვნის საქმეზე სეზონობით და დროებით მომუშავე პირთა ნაწილობრივ დაზღვევის შესახებ.

„ 25. ბელათის გრანტისა და საშენი მასალის ბადაზიდვის ტარიფისა და კიკეას. წითელდროშიანი არმიის ავიო-რაზმის მუშათა და მსახურთა მიმოსელის ტარიფის შესახებ; თივის სავაგონო დატვირთვის ნორმის დაწესების შესახებ; მცირე-სადგურ ბაშბაშზე და ეიმიაძინის კარიერზე ვაგონების მიყენებისთვის გამოსაღების განაკვეთის განსაზღვრის შესახებ.

„ 26. უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების შეცვლის შესახებ.

„ 27. სპირტის სასმელებისა და სპირტნარევი ნივთიერების უკანონოდ დამზადებისა, შენახვისა და გასაღებისათვის კონფისკაციაქმნილი საგნების გაყიდვით და ჯარიმით შემოსული ფულის განაწილების წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

---

# დადგენილება № 3 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 12. აკ/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სპეციალური ფონდის შესახებ ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში სოფლის მოსახლეობისათვის ტრაქტორების გამოყენების საქმეში ტეხნიკური დახმარების გასაწევად.

ა/კსფსრ ტერიტორიაზე სოფლის მოსახლეობისათვის ტრაქტორების გამოყენების სფეროში ტეხნიკური დახმარების გაწევის საქმის განსავითარებლად და ფინანსიურად მისაგვარებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ა|კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან სპეციალური ფონდი, რომელიც შესდგება როგორც შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1926 წ. მარტის 26-ს დადგენილებით გათვალისწინებულ დანარიცხისაგან, რაც ა|კსფსრ-ში უცხოეთიდან შემოტანილი ტრაქტორების თვითღირებულებას დაემატება, ისე სხვა წყაროებისაგან.

**შენიშვნა.** ის ანარიცხი, რაც, შრომისა და თავდაცვის საბჭოს იმავე დადგენილების თანახმად, გადაიდება შინაწარმოების ტრაქტორების გაყიდვით გამოწვეული ზარალის დასაფარავად, აღნიშნულ ფონდში არ შედის და უნდა გადაირიცხოს, ა/კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის მეშვეობით, შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ განსაკუთრებულ სატრაქტორო ფონდში.

2. მოსახლეობის ტეხნიკური დახმარების საქმისათვის დარიცხვას აწარმოებს საიმპორტო ორგანიზაცია შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ განსაზღვრული რაოდენობით და დანარიცხები, ა.კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის მეშვეობით, შეიტანება ა|კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოთან არსებულ სპეციალურ ფონდში — ტრაქტორების [გამოყენების საქმისათვის ტეხნიკური დახმარების გასაწევად.

3. ტეხნიკური დახმარების სპეციალური ფონდით ფინანსიურად მოგვარებულ იქნება ტრაქტორების გამოყენების სფეროში შემდეგი ღონისძიებანი:

ა) აკსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში სატრაქტორო საქმის ინსტრუქტორებისა, მონტიორებისა და ოსტატების პერსონალის შედგენა;

ბ) კურსები მეტრაქტორებისათვის;

გ) სატრაქტორო-სარემონტო სახელოსნოების ქსელის მოწყობა და განვითარება.

4. ტრაქტორების გამოყენების საქმის სპეციალური ფონდის სახსარი აკსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებ შორის უნდა განაწილდეს თვითეულ რესპუბლიკაში შეზიდული ტრაქტორების რიცხვის მიხედვით და გადაიცეს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებაში. განაწილებას აწარმოებს აკსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო კვარტალობით, აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარდგენით.

5. საერთო მეთვალყურეობა, რათა მოსახლეობისათვის ტეხნიკური დახმარების გასაწევად გადადებული სახსარი მიზნაშეწონილად იქნეს გამოყენებული, დაეკისრება აკსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, რომელნიც ყოველი წლისთვის შეადგენენ ტეხნიკური დახმარების ღონისძიებათა გეგმებს, რაც განხილულ უნდა იქნეს რესპუბლიკანურ სახელმწიფო საგეგმო კომისიებში და დამტკიცებულ სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს წილ.

აკსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

აკსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. იანვრის 14 ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1380 №-ში 1927 წ. იანვრის 16-ს.

---

# დადგენილება № 2117 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(მოწვსრიგების სამმართველო)

1927 იანვრის 14.

## 13. ჩაის სურროგატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნ. თანახმად, აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1926 წლის ოქტომბრის 30-ს თარიღისა და 561 №-რის, დადგენილების დასამტკიცებლად, ადგენს:

1. ჩაის ფალსიფიკაციასთან და ამ პროდუქტის სახით მოცვის ფოთლის გაყიდვის წინააღმდეგ საბრძოლველად, აკრძალულ იქნეს ა/კ.ესფსრ ფარგლებში ბაზარზე და გასაყიდად მოცვის ფოთლის გამოშვება ჩაის სათაცსში და ფერად ეტიკეტებში, აგრეთვე ბანდეროლის გადაკვრა.

2. მოცვის ფოთოლი შეიძლება გასაყიდად გამოშვებულ იქნეს მარტოოდენ თეთრ სათავსში ბანდეროლ გადაუკვრელად და აღნიშვნით „მოცვის ფოთოლი“

3. დადგენილება ესე გავრცელდება როგორც სახელმწიფო ვაჭრობასა და კოოპერაციაზე, ისე კერძო პირებზედაც.

4. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კ.ესფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში უნდა იქონიოს მეთვალყურეობა ამა დადგენილების სისწორით აღსრულებისათვის.

5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისრის მაგიერ **ათაბეკოვი.**

მოწესრიგების სამართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1380 №-ში 1927 წ. იანვრის 16-ს.

---

# დადგენილება № 3 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1927 წ. ივნისის 15.

## 14. მუშების სამუშაოზე მიღების დროს წინასწარი სამედიცინო გასინჯვის შესახებ.

შრომის კანონთა კოდექსის 143 მუხ. თანახმად ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

მუშებისა და მოსამსახურეების წინასწარი სამედიცინო გასინჯვა ამა თუ იმ წარმოებაში სამუშაოზე მიღების დროს შეიძლება მარტოოდენ განსაკუთრებული დადგენილებებით განსაზღვრულ შემთხვევაში, მაგალითად, სასაჭმლო მრეწველობისა ან სახალხო კვების საწარმოში მიღების დროს.

უკეთუ საჭიროა განხორციელებულ იქნეს წინასწარი სამედიცინო გასინჯვა ისეთ წარმოების დარგში, რაც შრომის მომქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, ა/კ.ესფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, შეიმუშავებს როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოზე მისაღებ მუშა-მოსამსახურეთა შემოწმების წესს, ისე იმ ავადმყოფობათა სიას, რაც დაუშლის მუშა-მოსამსახურის მიღებას უწყებული წარმოების დარგის ამა თუ იმ პროფესიაში, და ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატს დასტურის მიღების შემდეგ განახორციელებს აღნიშნულ წესს.

ა/კ. შრ. სახალხო
კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის
დაცვის განყ. გამგე **ნასყიდოვი.**

შეთანხმებულია: ა/კ. პრ. კავ. საბჭო—**იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1382 №-ში 1927 წ. იანვრის 19 ს.

---

# სავალდებულო დადგენილება № 14 აკსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა.

1927 წ. იანვრის 4.

## 15. ა/კსფსრ სასაქონლო-საფონდო ბირჟების ყველა ოპერაციისათვის მეტრული სისტემის საზომ-საწონის შემოღების შესახებ.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 29-ს დადგენილების მე-11 §-ს „გ" პუნ. თანახმად—ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს 1927 წლის იანვრის 15-დან ა/კსფსრ ტერიტორიაზე მეტრული სისტემის საზომ-საწონი სასაქონლო-საფონდო ბირჟების ყველა ოპერაციისათვის, როგორიც არის, მაგლითად, საბირჟო გარიგებათა შედგენა, საბირჟო კოტირობა, ფასების ბიულეტენები და სხვ.

2. ძველი საზომ-საწონის ხმარება ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნულ დაწესებულებებში აკრძალულია 1927 წლის იანვრის 15-დან.

3. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის აღსასრულებლად ყველა ზემოდ დასახელებული დაწესებულება მოვალეა ზემოაღნიშნულ ვადაზე იქონიოს ბირჟისათვის საჭირო მეტრული სისტემის ცხრილები და მიიღოს სასწრაფო ღონისძიება პერსონალის მომზადებისა და ინსტრუქტობისათვის, რათა მეტრული რეფორმა პრაქტიკულად განხორციელებულ იქნეს.

4. ამა დადგენილების განხორციელება და თვალყურის დევნება, რათა იგი სათანადოდ იქნეს შესრულებული, დაეკისრება ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირების განსაკუთრებულ რწმენებულთ, რომელნიც ამასთანავე წარმომადგენელნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა. ა/კ. სფსრ შემავალ რეს-პუბლიკებში.

5. ამა დადგენილების დარღვევა დაისჯება ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლისამებრ.

ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ინჟენერი **გუნცაძე**.

მდივანი **ხარატიანი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1382 №-ში 1927 წ. იანვრის 19-ს.

---

# ცირკულიარი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

## 16. აზერბაიჯანის სსრ-სა, სომხეთის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების მომზადებისა და განხორციელების შესახებ.

საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების 1925-26 წლის საარჩევნო კამპანიამ მოგვცა უეჭველი მიღწევები მით, რომ სახელმწიფოს გამგებლობაში ჩაბმულ იქნა მუშათა და გლეხთა ფართო მასები და საბჭოთა გამგებლობის საქმეს შეემატა მშრომელთა დიდი კონტინგენტი, ხოლო ხელისუფლება უფრო მეტად, ვიდრე წინად იყო, დაუახლოვდა ქალაქისა და, განსაკუთრებით, სოფლის მოსახლეობას. საარჩევნო კამპანიის მომზადებისა და განხორციელების ტექნიკა, არჩევნების წინასწარი კამპანიის მსელელობა და თვით არჩევნების შედეგი გვიჩვენებს—ერთის მხრით,—რომ უკანასკნელი საარჩევნო კამპანია უფრო უკეთ იყო მოწყობილი და გაუმჯობესებულია თვით სისტემა მისი წარმოებისა, და მეორეს მხრით,—რომ მუშათა და გლეხთა მასსების პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეგნება თვალსაჩინოდ გაიზარდა. მშრომელთა ყველა ჯგუფების,—კერძოდ ქალებისაც,—დიდ აქტიობასთან ერთად 1925-26 წლის საარჩევნო კამპანიამ, კულაკური ელემენტების გამოსვლების საწინააღმდეგოდ, შეკრბა ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა აშკარა და ნათლად გამოკვეთილი ბლოკი.

ხოლო თვალსაჩინო მიღწევებთან ერთად განვლილმა საარჩევნო კამპანიამ გამოაშკარავა აგრეთვე თვალსაჩინო ნაკლულოვანებანი, რის აღმოფხვრისათვისაც, წინამდებარე 1926-27 წლის საარჩევნო კამპანიის დროს მიღებულ უნდა იქნეს სათანადო ღონისძიებანი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავიდან აცილებულ იქნება ეს ნაკლულოვანებანი, ჩვენ შეგიძლია წარვმართოთ მუშათა და გლეხთა მასსების მიერ გამოაშკარავებული აქტიობა საბჭოთა რუსსმულით, განვაგრძოთ საბჭოთა აღმშენებლობაში მშრომელთა ჩაბმის საქმე და მუშათა კლასის ხელმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძღვანელობით გავაძლიეროთ პროლეტარულ-ღარიბ ელემენტებისა და საშუალო შეძლების გლეხობის ძირითადი მასსების კავშირი.

1925 26 წლის საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ ნაკლად უნდი ჩაითვალოს ის გარემოება, რომ საარჩევნო კომისიების მუშაობა საკმარისად როდი იყო შენთანხმებული პროფესიონალურ კავშირებთან, კოოპერაციასთან, ქალთა სადელეგატო კრებებთან და სალკკ-თან, რასაც შედეგად მოჰყვა ამ ორგანიზაციების სუსტი მონაწილეობა კამპანიაში. მეორე ნაკლი საარჩევნო კანონმდებლობის არა სათანადო განმარტებაში გამოიხატება, რამაც ის გარემოება გამოიწვია, რომ სსრკ და ა/კსფსრ კონსტიტუციებით და ა/კსფსრ-ში შემაველი რესპუბლიკების კონსტიტუციებით სარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ მოქალაქეთ ამიხრივ უფრო ფართო უფლებები მიეცათ; ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობა საკმაოდ არ იყო გაცნობილი საარჩევნო კანონმდებლობას, რაც აშკარად სჩანს ამომრჩეველთა კითხვებიდან,—აქვთ თუ არა მოქალაქეთა ამა თუ კატეგორიებს საარჩევნო უფლებაო; მოსახლეობა რომ კარგად ყოფილიყო გაცნობილი კანონმდებლობას, რაღა თქმა უნდა, ასეთი კითხვები არ აღიძროდა. შარშან შემოღებულ, უწყვეტს საშუალებით მოქალაქეთათვის არჩევნების შეტყობინების სისტემასაც დაეტყო ნაკლი, თუმცა მან თავისი დანიშნულება სრულიად გაამართლა. აქ ნაკლი იმაში გამოიხატა, რომ უწყვეტა ჰპარდებოდა არა ამომრჩეველს, უფრო-კი ხშირად—არა ამომრჩეველ-ქალებს, არამედ—ოჯახის პატრონს და სხვ. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან სუსტად იყო დაყენებული 1925-26 წლის საარჩევნო კამპანიის მსვლელობისა და შედეგის აღნუსხვის საქმე, რაც ერთის მხრით იმაში გამოიხატა, რომ ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტს მოსდიოდა არასწორი და არასრული ცნობები და მეორეს მხრით—თავის დროზე არ იყო წარმოდგენილი ანგარიშები ან წარმოდგენილი იყო მეტად მშრალი, დაუსაბუთებელი ანგარიშები, ხოლო ზოგიერთი შემოხვევაში ანგარიშნი სრულიად არ ყოფილა მიღებული. აგრეთვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრესაში სუსტად იყო გაშუქებული არჩევნების წინასწარი და საარჩევნო კამპანიის მსვლელობა.

ა/კ. აღმ. ცენტრ. კომიტეტის მიერ 1926 წ. დეკემბრის 21-ს მიღებული ინსტრუქცია („ზარია ვოსტოკა"-ს 1368 №-რი 1926 წ. დეკემბრის 31-სა) და მისივე დადგენილება—წინამდებარე არჩევნების მსვლელობისა და შედეგის აღნუსხვის შესახებ („ზარია ვოსტოკა"-ს 1368 №-რი 1926 წ. დეკემბრის 31-სა), აგრეთვე ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ინსტრუქციები ხელს შეუწყობს საარჩევნო მუშაობის გაუმჯობესებას და 1925-26 წლის საარჩევნო კამპანიის ნაკლულოვანებათა თავიდან აცილებას.

რათა გაადვილებულ იქნეს წინამდებარე 1926-27 წლის საარჩევნო კამპანიის განხორციელება, ა/კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია შეავსოს უკვე მიწოდებული დირექტივები შემდეგი დირექტივებით. საჭიროა:

1. ცენტრალური და ადგილობრივი საარჩევნო კომისიებისათვის შეიქმნას ისეთი პირობები, რაც უზრუნველჰყოფს მათ წესიერ მოქმედებას.

2. საარჩევნო კომისიებმა გააცნონ მოქალაქეთ საარჩევნო კანონმდებლობა და ის, რომ ამომრჩეველთ უფლება აქვთ დეპუტატები უკან გაიწვიონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. შემუშავებულ იქნეს მთლად სარესპუბლიკო და საადგილობრივო კონკრეტული საკალენდრო გეგმები საბჭოთა არჩევნებისა.

4. შემოწმებულ იქნეს იმ პირთა სიები (არსებული), რომელთაც საარჩევნო უფლება აყრილი აქვთ, და ამ შემოწმების შედეგად შედგენილ იქნეს ახალი სიები.

5. გაშუქებულ იქნეს პრესაში საანგარიშო და მოსამზადებელი კამპანია.

6. ფართოდ იქნეს დაყენებული ამომრჩეველთათვის საანგარიშო მოხსენებების წარდგენის საქმე, რისთვისაც მოხსენების გეგმა და ფორმა წინასწარვე უნდა იქნეს შემუშავებული.

7. გაიგზავნონ მომუშავენი ადგილობრივ კამპანიისათვის ხელის შესაწყობად, აგრეთვე ანგარიშების წარსადგენად ზემდგომ საბჭოებისა და აღმასრ. კომიტეტების მოქმედების შესახებ.

8. დაინიშნოს საბჭოთა არჩევნები საანგარიშო კამპანიის დათავებისთანავე დაუყოვნებლივ, რათა ამომრჩეველთა ყურადღება არჩევნებისადმი შესუსტებულ არ იქნეს.

9. აიკრძალოს საბჭოთა არჩევნებთან ერთად ყოველგვარი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საარჩევნო კამპანიის წარმოება.

10. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჩაბმულ იქნენ საბჭოთა არჩევნების კამპანიაში.

11. მოწესრიგებულ იქნეს ამომრჩეველთათვის საარჩევნო უწყებების, დაგზავნის ტეხნიკა.

12. ჩაბმულ იქნენ საარჩევნო კამპანიაში, ყველა მშრომელთა მასებთან ერთად, ქალებიც.

13. რაც შეიძლება ფართოდ ჩაბმულ იქნეს საარჩევნო კამპანიაში ეროვნულ უმცირესობათა მოსახლეობა.

14. დაცულ იქნეს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის ნორმა იმ ადგილების ორგანოებში, სადაც შერეული მოსახლეობა.

15. გაძლიერებულ იქნეს მუშაობა იმ მშრომელ ელემენტებ შორის, რომელნიც პროფკავშირებად მოწყობილ არ არიან.

16. უზრუნველყოფილ იქნეს იმ მშრომელი ინტელიგენციის მონაწილეობა კამპანიაში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე სდგას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს ზემოდ ჩამოთვლილ ღონისძიებათ, როგორც საბჭოთა არჩევნების მოწყობისათვის აუცილებელს, და საჭიროდ მიაჩნია, რათა ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებმა ეს ღონისძიებანი საფუძვლად დაუდვან თავიანთ დირექტივებს, რასაც ისინი ადგილობრივ საბჭოებსა და აღმასრულებელ კომიტეტებს მისცემენ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. იანვრის 17. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-"ს 1383 №-ში 1927 წ. იანვრის 20-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**17. ა/კ. ცენტრ. აღმ. კ-ტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის პატენტებზე განსაკუთრებული გამოსაღების დაწესების თაობაზე—1924 წლის მაისის 21-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის პატენტებზე განსაკუთრებული გამოსაღების დაწესების შესახებ—1924 წლის მაისის 21-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შესაცვლელად (ა/კსფსრ კან. კრ. 1924 წ. მე-4 №-რი. მუხ. 128) და ამ განსაკუთრებული გამოსაღების რაოდენობის სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. დეკემბრის 14-ს თარიღის დადგენილებაში (სსრკ კენ. აღმ. კომ., სახ. კომის. საბ. და შრ. და თავდ. საბჭოს ვესტნიკი-ს 1923 წ. მე-12 №-რი, მუხ. 321) აღნიშნულ განაკვთთან შესათანხმებლად, —ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1924 წლის მაისის 21-ს თარიღის, დადგენილების მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. 1-ლ მუხლში აღნიშნული გამოსაღები დაწესებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით: 25% სასმელების პატენტის ფასისა და 10% თამბაქოს პატენტის ფასისა.“

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. იანვრის 17. ტფილისი-სასასლე

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“ს 1384 №-ში 1927 წ. იანვრის 21-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**18. ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფ საწარმოთა ფინანსიურად მოგვარებისათვის სპეციალური სამრეწველო ფონდის დაარსებისა, დახარჯვისა და შენახვის წესის დებულების დამტკიცების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო დადგენენ.

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება—ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფ საწარმოთა ფინანსიურად მოგვარებისათვის სპეციალური სამრეწველო ფონდის დამრსებისა, დახარჯვისა და შენახვის წესის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

---

# დებულება ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფ საწარმოთა ფინანსიურად მოგვარებისათვის სპეციალური სამრეწველო ფონდის დაარსებისა, დახარჯვისა და შენახვის წესის შესახებ.

1. ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში გადაცემული ადგლობრივი მრეწველობის ფინანსიურად მოგვარებისათვის—ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენილობაში დაარსდება სპეციალური სამრეწველო ფონდი, რომელსაც შეადგენს:

ა) კომერციული ან სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მომქმედ და ადგილებრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფ ადგილობრივ სამრეწველო საწარმოთა მოგების პროცენტული ანარიცხი:

ბ) ადგილობრივი ორგანოების ქვემდებარე, იჯარით გაცემულ სამრეწველო საწარმოთა საიჯარო სასყიდლის ანარიცხი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) იმ თანხების ანარიცხი, რაც შემოვა ძველი სამრეწველო ქონებისა და ... წვრილ სამრეწველო საწარმოთა გაყიდვით კანონით ნებადართული შემთხვევაში გაყიდვაზე გაწეული ყველა ხარჯის დაფარვის შემდეგ;

დ) იმ საპროცენტო ქაღალდებით და მიმდინარე ანგარიშით შემოსული პროცენტები, რაშიაც მოთავსებულია სპეციალური სამრეწველო ფონდი.

## I. სპეციალური სამრეწველო ფონდის შექმნის წესი.

1. წინა (1) მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში ჩამოთვლილი წყაროების ანარიცხის რაოდენობა სპეციალური სამრეწველო ფონდისთვის განისაზღვრება ყოველწლივ ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების წარდგენით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში და ოლქში—ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის წარდგენით და სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით.

3. იჯარით გაცემული საწარმოს (ამა დებ. 1-ლი მუხ. „ბ“ პუნ.) საიჯარო სასყიდლის ანარიცხი, აგრეთვე ძველი სამრეწველო ქონებისა და წვრილ სამრეწველო საწარმოთა გაყიდვით (1-ლი. მუხ „გ“ პუნ.) შემოსული თანხების ანარიცხი მიიქცევა სპეციალურ სამრეწველო ფონდში ამ წყაროების შემოსავლის მიღებისდაგვარად.

4. ადგილობრივ სამრეწველო საწარმოთა მოგების ანარიცხი (1-ლი მუხ. „ა“ პუნ.) მიიქცევა სპეციალურ სამრეწველო ფონდში ყოველწლივ, გასული საოპერაციო წლის ანგარიშისა და ბალანსის არსებული წესით დამტკიცების შემდეგ.

## II. სპეციალური სამრეწველო ფონდის დახარჯვის წესი.

5. სპეციალური სამრეწველო ფონდის სახსარით რისამე ფინანსიურად მოგვარება შეიძლება მარტოოდენ იმ შემთხვევაში, უკეთუ არავითარი შესაძლებლობა არ არის სბანკო კრედიტის მიღებისა და სხვა ფონდების სახსარით ფინანსიური მოგვარებისათვის; ამასთანავე აუცილებლად დაცულ უნდა იქნეს თვითეულ აღნიშნული ფონდის გამოყენებისათვის დადგენილი წესები.

6. სპეციალური სამრეწველო ფონდი გამოიყენება შემდეგ საჭიროებათათვის მორიგეობის წესისამებრ:

ა) ადგილობრივი უაღრესი მნიშვეელობისა და არსებობის უნარისმქონე საწარმოს აღსადგენად და გასაფართოებლად საჭირო მუშაობის ფინანსიურად მოგვარებისათვის თანახმად შემდეგ (7) მუხლში აღნიშნული წესისამებრ შედგენილი გეგმისა საწარმოთა აღდგენისა, გაფართოებისა და ახალ საწარმოთა შექმნისათვის;

ბ) უწყებული რაიონისათვის უაღრესი მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ საწარმოს ზარალის დასაფარავად, იმ პირობით-კი, რომ ამის შემდეგ —შესაძლებელი იქნება ამ საწარმოს უზარალო ექსპლოატაცია და ამასთანავე, უკეთუ ყოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად შეუძლებელია ზარალის საწესდებო სამრუნავი თანხიდან ჩამოწერა ან სა-
წარმოს სარეზერვო კაპიტალიდან დაფარვა;

გ) განსაკუთრებულ შემთხვევაში, ამა მუხლისამებრ ზევით აღნიშნულ საჭი-
როებათას რულიად დაკმაყოფილების შემდეგ, სპეციალური სამრეწველო ფონდის
სახსარი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი ახალი წარმოების მოსაწყობად,
რასაც უწყებული ადგილისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

7. საწარმოთა აღდგენისა, გაფართოებისა და ახალ საწარმოთა შექმნის გეგმას
შეადგენს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში
და ოლქში — სახალხო მეურნეობის საბჭო, ფინანსთა სახალხო კომისარიატის
რწმუნებულთან შეთანხებით. გეგმა წარედგინება სათანადო რესპუბლიკის ფინან-
სთა სახალხო კომისარიატს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამის თვით
ადრე მაინც საბიუჯეტო წლის დაწყებამდე.

8. უკეთუ ფინანსთა სახალხო კომისარიატი და სახალხო მეურნეობის უმა-
ღლესი საბჭო თანახმანი არ იქნებიან წინა (7) მუხლში აღნიშნული გეგმისა, მათ
შეუძლიანთ განაპროტესტონ იგი სათანადო რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ
საბჭოში ერთი თვის ვადაზე მათთვის გეგმის წარდგენის დღიდან. პროტესტის შე-
უტანლობა აღნიშნული ვადის განმავლობაში მიჩნეულ იქნება თანხმობად წარ-
დგენილი გეგმაზე.

9. ამა დებულების მე-6 მუხ. აღნიშნულ საპროებათათვის სპეციალური
სამრეწველო ფონდის ხარჯვა განხორციელდება თანახმად ამ ფონდის გამოყე-
ნების საველდებულო გეგმისა, რაც დაერთვის სათანადო ადგილობრივ ბიუჯეტს
და რაც შედგენილ უნდა იქნეს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, ხო-
ლო ავტონომიურ რესპუბლიკაში და ოლქში—ფინანსთა სახალხო კომისარიატის
რწმუნებულის სამმართველოს მიერ, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან შეთანხმე-
ბით, ადგილობრივ საწარმოთა აღდგენისა და გაფართოების გეგმის საფუძველ-
ზე; ზემოაღნიშნული გეგმა დამტკიცებულ უნდა იქნეს ადგილობრივ ბიუჯეტთან
ერთად იმავე წესისამებრ, როგორც დამტკიცდება სათანადო ადგილობრივი ბი-
უჯეტი.

10. ამა დადგენილების მე-6 მუხ. აღნიშნულ საპროებათათვის სპეციალურ
სამრეწველო ფონდიდან თანხების გაცემა მოხდება გრძელვადიანი (5 წლამდე)
სესხის წესით.

**შენიშვნა.** აკსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარ-
თა საბჭობეს შეუძლიანთ, უაღრესად განსაკუთრებულ შემთხვევაში, ამა დე-
ბულების მე-6 მუხლის „ბ“ პუნ. აღნიშნულ ამა თუ იმ საწარმოს ზარალის
დასაფარავად გაიღონ უკუდაბრუნებლივ სპეციალურ სამრეწველო ფონ-
დიდან საჭირო თანხა.

## III. სპეციალური სამრეწველო ფონდის შენახვის წესი.

11. სპეციალური სამრეწველო ფონდი აღიხუსხება საფინანსო განყოფილე-
ბის მიერ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში და ოლქში — ფინანსთა სახალ-
ხო კომ. რწმუნებულის სამმართველოს მიერ, ადგილობრივი სამაზრო (ავტონომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკისა და ოლქის) ბიუჯეტის ბალანსით, როგორც სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში ქონებული, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში და ოლქში—ფინანსთა სახალხო კოსისარიატის რწმუნებულის განკარგულებაში ქონებული სპეციალური დანიშნულების კაპიტალი, და ინახება საკრედიტო დაწესებულებაში, ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოქვეყნებულ სიის თანახმად; ამასთანავე სპეციალური სამრეწველო ფონდის 60%, როგორც სარეზერვო დანიშნულების ფონდისა, ინახება სახელმწიფო და მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ საპროცენტო ქაღალდებად.

12. მეთვალყურეობას სპეციალურ სამრეწველო ფონდში ამა დებულების 1-ლ მუხ. გათვალისწინებულ თანხების თავისდროზე მიქცევისათვის, აგრეთვე სპეციალური სამრეწველო ფონდიდან გაცემული სესხის განსაზღრულ ვადაზე დაბრუნებისა და ამ სესხის პროცენტების გადახდისათვის, ამასთანავე სპეციალურ სამრეწველო ფონდში შემოსული თანხებისა და ამ ფონდიდან გაცემული სესხისა და დახმარების საბუხჰატლრო აღნუსხვას აწარმოებს საფინანსო განყოფილება, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში და ოლქში—ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო.

1927 წლის იანვრის 17. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1384 №-ში 1927 წ. იანვრის 21-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

**19. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებით ნავარაუდევ სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებაზე გადამეტებით მიღებული ნამდვილი შემოსავლის სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდში და საბიუჯეტო დეფიციტების დასაფარავად მიქცევის წესის თაობაზე'' 1926 წ. ივნისის 24-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-7 მუხლის შეცვლის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის ივნისის 24-ს დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-7 №-რი, მუხ. 683) მე-7 მუხლის შესაცვლელად—აღნიშნული მე-7 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„7. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ იმ რესპუბლიკების საგადასახადო შემოსავლის გადანამეტი, რომელთა ბიუჯეტიც შედგენილია სრულიად უდეფიციტოდ, შეიძლება მიეცეს ამ რესპუბლიკებს მიმდინარე წლის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რისთვისაც სათანადო რესპუბლიკამ თვითეული ცალკე შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევაში უნდა აღძრას შუამდგომლობა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე—საკითხის საბოლოო გადასაწყვეტად კანონით განსაზღვრულ წესისამებრ".

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.
ამიერკავკასიის ცენტრალური
აღამას. კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1927 წ. იანვრის 17. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1385 №-ში 1927 წ. იანვრის 22-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

**20. ამხ. იაშვილის ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრად დამტკიცების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე იაშვილი დამტკიცებულ იქნეს აღნიშნულ თანამდებობაზე.

ამიერკავკასის ცენტრალური
აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე მ ცხაკაია.
ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმას. კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1927 წ. იანვრის 17. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1385 №-ში 1927 წ. იანვრის 22-ს.

---

# დადგენილება ა.პ. რკინის გზების გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1927 წ. იანვარის 20

№ 2

(გამნკარგულებელი სხდომა)

**21. განჯა—განჯა-ქალაქის ვიწრო-ლიანდაგიან შტოზე საქალაქმიდამო მიმოსვლისათვის თვიური ბილეთების შემოღების შესახებ**

ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფი № 54.

შემოღებულ იქნეს განჯა—განჯა-ქალაქის ვიწრო-ლიანდაგიან შტოზე საქალაქმიდამო მიმოსვლის თვიური ბილეთები, რომლებიც მიეცეს საერთო წესი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურ ა/კ. მებამბეობის კომიტეტის ზეთის სახდელი ქარხნის მუშებსა და მოსამსახურეებს მიმოსვლისათვის განჯა-ქალაქის სადგურიდან ან ამ სადგურამდე ტ ა/კ. მებამბეობის კომიტეტის ქარხნებთან მდებარე პლატფორმიდან ან ამ პლატფორმამდე, იმ ანგარიშით, რომ 25 ბილეთზე მოდიოდეს 50 მანძილი, თითო მანძილზე 10 კაპ., ხოლო თითო თვიურ ბილეთზე ხუთი მანეთი.

თვიური ბილეთი გაიცემა, უკეთუ წარდგენილ იქნება ვინაობის მოწმობა, რომლითაც დამტკიცდება, რომ უწყებული პირი ნამდვილად აღნიშნული ქარხნის მუშაა ან მოსამსახურე.

ტარიფი ესე სამოქმედოდ შემოიღება 7 დღის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

ა/კ. რკ გზ. გამგეობასთან არსებული
საუწყებათ. სატარიფო თათბირის
თავმჯდომარის მოადგილე **ასლანოვი.**
სატარიფო თათბირის საქმეთა
მმართველის მაგიერ ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1385 №-ში 1927 წ. იანვრის 22-ს.

---

# დადგენილება № 80 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. დეკემბრის 31.

**22. სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის ნებისად-დაქირავებულ მუშათა და მსახურთა მუშაობისაგან განთავისუფლების შესახებ დროებითი შრომის უნარდაკარგულობის გამო.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიატორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და სსრკ რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს 1926 წ. დეკემბრის 17-ს თარიღისა და 266/642 №-რის დადგენილება „სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის ნებისად-დაქირავებულ მუშათა და მსახურთა მუშაობისაგან განთავისუფლების შესახებ დროებითი შრომის უნარ-დაკარგულობის გამო".

ამიერკავკასიის შრომის
სახალხო კომისარი **იაშვილი**

ა/კ. შრომის სახალხო
კომისარიატის სოციალური დაზღვევის
სამმართველოს უფროსის მაგიერ **ევანგულოვი.**

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და სსრკ რევოლიუციონური სამხედრო საბჭოსი.

1926 წ. დეკემბრის 17. № 266/642.

**სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის ნებისად-დაქირავებულ მუშათა და მსახურთა მუშაობისაგან განთავისუფლების შესახებ დროებითი შრომის უნარდაკარგულობის გამო.**

**სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი.**

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი და სსრკ რევოლიუციონური სამხედრო საბჭო ადგენენ:

1. სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის ნებისად-დაქირავებულ მუშათა და მსახურთა დროებითი შრომისუუნარობა, როგორც სოციალური დაზღვევის წესით დასაზღვევ პირთა, შემოწმებულ უნდა იქნეს იმ საერთო წესისამებრ, რაც დადგენილია ყველა დაზღვეული მუშისა და მოსამსახურისათვის.

2. სსრკ რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და რსფსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის 1923 წ. დეკემბრის 9-ს ცირკულიალური „დროებითი შრომისუუნარობის გამო დაზღვეულ სამხედრო მსახურთა მუშაობისაგან განთავისუფლების წესის შესახებ“ („დაზღვევის საკითხები“-ს 1923 წ. 53-54 №-რი) გაუქმებულ იქნეს.

სსრკ შრომის სახალხო კომისარი **შმიდტი.**

სსრკ სამხედრო და საზღვაო
სახალხო კომისრისა და რევოლიუციონური
სამხედრო საბ. თავმჯდომარის მოადგილე **უნშლიხტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1386 №-ში 1927 წ. იანვრის 25-ს.

---

# დადგენილება № 1 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

(1927 წ. იანვრის 8.)

**23. ძონძეულისა, ნაცეთეულისა, ანაქერქისა, სელისა და მატყლის ქულების დამწნეხელთა სპეც-ტანისამოსის შესახებ.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

ა/ კსფსრ-ში ადგილობრივი ტრანსპორტის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის არსებული სპეც-ტანისამოსის ნორმების დასამატებლად შემოღებულ იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეს სამოქმედოდ სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. დეკემბრის 17-ს თარიღისა და 267/390 №-რის დადგენილება „ძონძეულისა, ნაცვეთეულისა, ანაქერქისა, სელისა და მატყლის ქულების დამწნეხელთა სპეც-ტანისამოსის შესახებ“.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი**.

შრომის დაცვის განყოფილების გამგე **ნასყიდოვი**.

# დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წლის დეკემბრის 17. № 267/390.

**ძონძეულისა, ნაცვეთეულისა, ანაქერქისა, სელისა და მატყლის ქულების დამწნეხელთა სპეც-ტანისამოსის შესახებ.**

**მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებს.**

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წ. აგვისტოს 1-ლის დადგენილებით („სპეც. ტანის. და საფრთხის ამცილებელ საშუალებათა ნორმები“ — გამონ. IV) დამტკიცებული „ადგილობრივი ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა სპეც-ტანისამოსისა და საფრთხის ამცილებელი საგნების ნორმების„ დასამატებლად — სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს: აღნიშნული ნორმების კარს — „საწყობები და ექსპედიციები“ — დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-7-ა და მე-7-ბ მუხლები.

| №№ რიგზე | პროფესიის სახელწოდება. | საგნების სახელწოდება. | ხმარების ვადა. |
|---|---|---|---|
| 7-ა | ძონძეულისა, ნაცვეთეულისა და ანაქერქის დამწნეხელნი მუდმივი მუშაობისათვის. | ხამი ტილოს ხალათი. თავსახვევი (დედაკაცებს). | მიეცემათ მუშაობის დროს და, როცა გაცვდება, უნდა შეიცვალოს. |
| 7-ბ | სელისა და მატყლის ქულების დამწნეხელნი | ხამი ტილოს ხალათი. სახელურები. | მიეცემათ მუშაობის დროს და, როცა გაცვდება, უნდა შეიცვალოს. |

სსრკ შრომის სახალხო კომისარი **შმიდტი**.

შრ. სახ. კ-ტის შრომის განყ. გამგის მოადგ. **ზარომსკი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1386 №-ში 1927 წ. იანვრის 25-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 4 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1927 წ. იანვრის 19.

## 24. ფრინველების კვებისა, დაკვლისა და გაპტყვნის საქმეზე სეზონობით და დროებით მომუშავე პირთა ნაწილობრივი დაზღვევის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1926 წ. დეკემბრის 30-ს თარიღისა და 274/929 №-რის დადგენილება „ფრინველების კვებისა, დაკვლისა და გაპტყვნის საქმეზე სეზონობით და დროებით მომუშავე პირთა ნაწილობრივი დაზღვევის შესახებ“.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოც. დაზღვ. მთავ. სამმართველოს
უფროსის მაგიერ **ევანგულოვი.**

---

# დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოსი.

1926 წ. დეკემბრის 30. № 274/929.

## ფრინველების კვებისა, დაკვლისა და გაპტყვნის საქმეზე სეზონობით და დროებით მომუშავე პირთა ნაწილობრივი დაზღვევის შესახებ.

შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „სეზონობით და დროებით სამუშაოზე მოსაქმე პირთა დაზღვევის შესახებ“ 1923 წ. ივნისის 21-ს თარიღითა და 259/53 №-რით გამოცემული (ცირკულიარის*) („შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“-ს 1923 წ. 22 №-რი) დასამატებლად სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო ადგენს:

---

*) შემოღებულია სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წ. ნოემბრის 1-ლის თარიღისა და 95 №-რის ცირკულიარით (ა/კსფსრ შრომის მომქმედ კანონთა კრებ., 1926 წ. გამოცემა, 178 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. პირველი ჯგუფის პირთ, რომელნიც დაზღვეულ უნდა იქნენ ნაწილობრივ (შრ. სახ. კ-ტის 1923 წ. ივნისის 21-ს თარიღისა და 259/53 №-რის ცირკულიარის მე-3 მუხლი), ეკუთვნიან ფრინველების კვების საქმეზე სეზონობით და დროებით მომუშავე პირნი, ხოლო მესამე ჯგუფს—ფრინველების დაკვლისა და გაპტყვნის საქმეზე სეზონობით და დროებით მომუშავე პირნი.

2. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1927 წლის იანვრის 1-დან. სადასაზღვეო შესატანი ამა დადგენილების წესისამებრ გადახდევინებულ იქნება,—იმ თანხებიდან დაწყებული, რაც 1927 წ. იანვარში იქნა გაკეთული.

სოციალური დაზღვევის

საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე **ნემჩენკო.**

პასუხისმგებელი მდივანი **კუზიატინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1386 №-ში 1927 წ. იანვრის 25-ს

---

# დადგენილება სკ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1927 წ. იანვრის 19. № 1.

**25. კავკასიის წითელდროშიანი არმიის ავიო-რაზმის მუშათა და მსახურთა მიმოსვლის ტარიფისა და გელათის გრანიტისა და საშენი მასალის გადაზიდვის ტარიფის შესახებ; თივის სავაგონო დატვირთვის ნორმის დაწესების შესახებ; მცირე-სადგურ ბაშბაშზე და ერმიაძინის კარიერზე ვაგონების მიყენებისათვის გამოსაღების განაკვეთის განსაზღვრის შესახებ.**

**კავკასიის წითელდროშიანი ავიო-რაზმის მუშათა და მსახურთა ტფილისის სადგურიდან ნავოლულის სადგურამდე და წინაუკმოდ მუშათა მატარებლებით მიმოსვლისათვის ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.**

ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფი. № 55.

კავკასიის წითელდროშიანი არმიის ავიო-რაზმის მუშათა და მსახურთა ტფილისის სადგურიდან ნავოლულის სადგურამდე და წინაუკმოდ მუშათა მატარებლებით მიმოსვლისათვის ადგილობრივი ტარიფი დაწესებულ იქნეს 8 კაპ. რაოდენობით თითო კაცზე ერთგზობით; ამ განაკვეთში შედის მიზნობრივი გამოსაღები განათლების საქმისათვის.

ტარიფი ესე შემოღებულია სამოქმედოდ 7 დღის გასვლის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან, დაწესებულია ერთის წლის ვადით და შეფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულ უნდა იქნეს, უკეთუ წარდგენილი იქნება ავიო-რაზმის უფროსის მიერ გაცემული ვინაობის მოწმობა ფოტოგრაფიული სურათითურთ, რაც დაადასტურებს, რომ ესა თუ ის პირი ნამდვილად ავიო-რაზმის მუშაა ან მოსამსახურე.

## გელათის სადგურიდან ტფილისის სადგურამდე გელათის გრანიტის გადაზიდვისათვის ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

### ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფი № 56.

ა/კ. რკ. გზ. გელათის სადგურიდან ა/კ. რკ. გზ. ტფილისის სადგურამდე გელათის გრანიტის (ჯგუფი 41, პოზ. 8) გადაზიდვისათვის ადგილობრივი ტარიფი დაწესებულ იქნეს 3,58 კაპ. რაოდენობით ფუთზე ან 2 მან. და 18 კაპ. რაოდენობით ტონნაზე.

დამატებითი გამოსაღები გადახდევინებულ იქნეს საერთო საფუძველზე.

ტარიფი ესე დაწესებულია ერთის წლის ვადით და სამოქმედოდ შემოიღება შვიდი დღის გასვლის /შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან.

## სომხეთის ეაჭრობის ორგანოებისა და ცეკავშირის მიერ არმიისათვის დამზადებული დაწნეხილი თივისა და დაწნეხილი ჩალის გადასაზიდავად ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი მიმოსვლის ტარიფში სავაგონო დატვირთვის ნორმის დაწესების შესახებ.

### ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფი № 57.

სომხეთის ეაჭრობის ორგანოებისა და საქართველოს მომხმარებელ ორგანიზაციების ცენტრალური კოოპერატიული კავშირის (ცეკავშირი) მიერ დამზადებული და მარტოოდენ არმიის მისამართით გაგზავნილი დაწნეხილი თივისა (პოზ. 25-ბ, ჯგ. 109) და დაწნეხილი ჩალის (პოზ. 22-ბ, ჯგ. 109) გადაზიდვისათვის ა/კ. რკ. გზ. ყველა სადგურიდან ყველა სადგურამდე (გარდა სასაზღვრო და სანავთსადგურო სადგურიდან სასაზღვრო და სანავთსადგურო სადგურამდე და მათზე მიმდგომი შტოებით გადაზიდვისა) მთლად ა/კ. რკ. გზ. მანძილზე სავაგონო დატვირთვის სატარიფო ნორმა დახურულ ვაგონში დაწესებულია 5,9 ტონნის (360 ფუთი) რაოდენობით.

ტარიფი ესე შემოღებულია სამოქმედოდ 7 დღის გასვლის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან ერთის წლის ვადით და შეფარდებულ უნდა იქნეს, უკეთუ გაგზავნისა ან დანიშნულების სადგურზე წარდგენილ იქნება სათანადო მოწმობა, რითაც დამტკიცდება, რომ თივა და ჩალა ნამდვილად ზემოაღნიშნული ორგანიზაციების მიერ დამზადებულია და არმიის მისამართით იგზავნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მცირე-სადგურ ბაშბაშზე აზერბაიჯანის მარილის ტრესტის საბაგირო გზის მასალებითა და ხელსაწყოთი დატვირთული ვაგონების მიყენებისათვის გამოსაღების განაკვეთის დაწესების შესახებ.

### ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფი № 58.

აზერბაიჯანის მარილის ტრესტის მისამართით მცირე სადგურ ბაშბაშზე ნახიჩევანისა ან შახტახტის სადგურიდან აზერბაიჯანის მარილის ტრესტის კუთვნილი საბაგიერო გზის მასალებითა და ხელსაწყოთი დატვირთული ვაგონების მიყენებისათვის დაწესებულ იქნეს გამოსაღები 75 კაპ. რაოდენობით თითო ვაგონ-კილომეტრზე.

ტარიფი ესე შემოღებულია სამოქმედოდ 7 დღის გასვლის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან.

## ეჩმიაძინის კარიერზე საამშენებლო საზოგადოების „შინარარი"-სათვის საჭირო ქვიშის დასატვირთავად ვაგონების მისაყენებელი გამოსაღების განაკვეთის დაწესების შესახებ.

### ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფი № 59.

საამშენებლო საზ. „შინარარი"-სათვის საჭირო ქვიშის დასატვირთავად ეჩმიაძინის კარიერზე ვაგონების მისაყენებელი გამოსაღები დაწესებულ იქნეს 50 კაპ. რაოდენობით ვაგონ-კილომეტრზე, იმ პირობით, რომ ვაგონები პარტიობით იქნეს მიყენებული—თითო ორთქლმავალზე არა ნაკლებ ათი ვაგონისა.

ტარიფი ესე შემოღებულია სამოქმედოდ 7 დღის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან, ექვსი თვის ვადით და შეფარდებულ უნდა იქნეს, უკეთუ წარდგენილი იქნება სათანადო მოწმობა, რითაც დამტკიცდება, რომ ქვიშა „შინარარი"-ს საზოგადოებას ეკუთვნის.

## ქალაქ ტფილისში ლენინის რაიონის სახალხო სახლის ასაშენებლად საჭირო საშენი მასალის გადაზიდვისათვის ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივ მიმოსვლაში საშელავათო ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ

### ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფი № 60.

ა/კ. რკ. გზ. ვეელა სადგურიდან ტფილისის სადგურამდე, (გარდა სანავთსადგურო და სასაზღვრო სადგურებისა და მათ მიმდგომ შტოებისა) შემდეგი საშენი მასალის გადაზიდვისათვის ტარიფი დაწესებულია ერთი-მეასედი კაპიკის რაოდენობით ფუთ-ვერსზე ან 0,57 კაპ. რაოდენობით ტონნა-კილომეტრზე: ალებასტრი, კირი და სხვ. (მთლად 1 ჯგუფი), ცემენტისა, ცემენტ-ბეტონისა, ალებასტრისა და სხვ. მილები, კრამიტი (პოზ. 5,6 და 7, ჯგ. 2) არანაკეთი ასფალტი და ასფალტის საგოზაები (პოზ. 1, 2, 3 და 4, ჯგ. 3), წყალი (ჯგ. 18), ქეჩა (პოზ. 2, ჯგ. 19), თიხა, შორენკეცი, აგური, შორენკეცის ღუმელი, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრენაჟი მილი, სახურავი კრამიტი (პოზ. 3, 7, 12, 13, 26, 36 და 37, ჯგ. 25), ხის მასალა (მთლად 28 ჯგ.), შენობა და სახლი დაშლილი, ძელურა, ფირფიცარი, ქსილოლიტი, პლინტუსი, საფანჯრე ჩარჩო და ალათი, მილი (პოზ. 7, 32, 34, 65, 93, 102, 123, ჯგ. 29), რკინა და ფოლადი (პოზ. 5-8, ჯგ. 32), რკინისა, თუნუქისა, ფოლადისა და თუჯის ნაკეთობა (პოზ. 11, 12, 44, 62, 70, 71. 75 88, 94, 96, 130, 131 139, 175, 176, 180, 207, 213, 216, 217, 232, 234, 237, 259, 276, 278, 285 და 319, ჯგ. 33), მიწა და თიხა (პოზ. 5, 7, 12, 15, 22, 27 და 28, ჯგ. 38), ყორე უბრალო ქვისა და სხვა ჯიშის ქვისა (მთლად 41 ჯგ.), წებო (პოზ. 12, ჯგ. 46), ძენძი (პოზ. 6, ჯგ. 54), მოხარშული ზეთი (პოზ. 21, ჯგ. 58), საღებავი (პოზ. 9, 28, 31, 42, 43, 45, 46, 48, და 50, ჯგ. 66), სპილენძისა და თითბრის ვანნა, ხრახნი, ღუმელის ხელსაწყო, სპილენძისა და თითბრის ანჯამები, კარ-ფანჯრისა და ღუმლის ხელსაწყო (პოზ. 8, 11, 17, 18, 43 და 48, ჯგ. 70), შპალერი (74 ჯგ.), ტყვია, ტყვიისა და თუთიის მილები (პოზ. 14 და 18, ჯგ. 96), ფისი (პოზ. 30, ჯგ. 98), ჩარჩოები მინით და მინები (პოზ. 2 და 8, ჯგ. 104), სახურავი მუყაო (108 ჯგ.).

ამას გარდა, ყველა ზემოაღნიშნული მასალის გადაზიდვის დროს დამატებითი გამოსაღები (სარკინისგზო) გადახდევინებულ იქნება ნახევარი რაოდენობით.

ტარიფი ესე შემოღებულია 7 დღის გასვლის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან, დაწესებულია იმ დროისათვის, ვიდრე აღნიშნული შენობა დამთავრებულ იქნებოდეს, და შეფარდებულ უნდა იქნეს, უკეთუ გაგზავნისა ან დანიშნულების სადგურზე წარდგენილ იქნება საალმშენებლო კომისიის მოწმობა, რითაც დამტკიცდება, რომ მასალა დანიშნულია ტფილისში ლენინის რაიონის სახალხო სახლის აგებისათვის.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული
საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის
თავმჯდომარის მოადგილე **ასლანოვი.**
სატარიფო თათბირის საქმეთა მმართვ. მაგიერ
ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1387 №-ში 1927 წ. იანვრის 26-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

## 26. უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების 21 მუხლში აღნიშნული ვადის განგრძობის შესახებ—1926 წ. ნოემბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის 29 ს თარიღით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-15 №-რი, მუხ. 783) დადგენილების შესაცვლელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების 21 მუხ. აღნიშნული ვადა აზერბაიჯანის სსრ-ში მცხოვრები სპარსეთის ქვეშევრდომების მიმართ განგრძობილ იქნეს 1927 წ. იანვრის 1-დან 1927 წ. აპრილის 1-დე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. იანვრის 17. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1390 №-ში 1927 წ. იანვრის 29-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**27. სპირტის სასმელებისა და სპირტნარევი ნივთიერების უკანონოდ დამზადებისა, შენახვისა და გასაღებისათვის კონფისკაციაქმნილი საგნების გაყიდვით და ჯარიმით შემოსული ფულის განაწილების წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—სპირტის სასმელებისა და სპირტნარევი ნივთისრების უკანონოდ დამზადებისა, შენახვისა და გასაღებისათვის კონფისკაციაქმნილი საგნების გაყიდვითა და ჯარიმით შემოსული ფულის განაწილების წესის შესახებ—1926 წლის ივლისის 21-ს თარიღით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-6 №-რი, მუხ. 681) დადგენილების შესაცვლელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

აღნიშნული დადგენილების 1-ლი მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„1. არაპირდაპირ გადასახადთა შესახებ გამოცემული დადგენილებების დარღვევისათვის, რაც დაკავშირებულია სპირტნარევი ნივთიერების უკანონო დამზადებასა, შენახვასა და გასაღებასთან, სასამართლო და ადმინისტრატიული წესით დადებული ჯარიმებიდან 50 პროცენტი გადაირიცხება აღმასრულებელი კომიტეტების ადგილობრივ სახსარში და 50 პროცენტი მიეცემა აღმომჩენელთ და დამჭერთ; ხოლო ასეთი საქმეების გამო კონფისკაციაქმნილი საგნების გაყიდვით შემოსული თანხებიდან 25 პროცენტი შეიტანება ხაზინის შემოსავალში და 75 პროცენტი მიეცემა აღმომჩენელთ და დამჭერთ.“

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. იანვრის 17. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1390 №-ში 1927 წ. იანვრის 29-ს.

ტფილისი ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის I-ლი სტამბა. პლეხან. პრ. № 91.

8/III—27 შეკ. № 657/4639. მთავარლიტ № 422. დაიბეჭდა 1000.